საქართველოს კანონი

„რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38, 15.07.2005, მუხ. 260) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) აკვაკულტურის ნებართვისადმი დაქვემდებარებულ აკვაკულტურის საქმიანობას.“.

2. 5^1 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ წელიწადში ერთხელ – არაუგვიანეს 31 იანვრისა.“.

3. კანონის დანართის („რეგულირების საფასურის ოდენობები“) ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^1 გრაფა:

„

16^1	აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების მიზნით აკვაკულტურის კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყალი	1 $მ^3$	საზღვაო წყლისთვის – 0,05; ტბორისთვის – 0,001; სხვა წყლისთვის – 0,1

“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

24 ივნისი 2020 წ.

N6411-IIს